

ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი



ალიონა ბაკურიძე
პროფესორი, დეპარტამენტის
ხელმძღვანელი



გულნარა მიქაია
ასოცირებული პროფესორი



ნინო ქურდიანი
ასოცირებული პროფესორი



ია ჯურჯუმია
ასისტენტ - პროფესორი



ნინო ცაგარეიშვილი
ასისტენტ- პროფესორი



ლაშა ბაკურიძე
ასისტენტ - პროფესორი



ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი

ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი დაარსდა 1935 წელს “წამალთა და გალენის პრეპარატების ტექნოლოგიის” კათედრის სახელწოდებით. 1967 წელს მას ეწოდა “წამალთა ტექნოლოგიის” კათედრა, ხოლო 2004 წელს - “ფარმაცევტული ტექნოლოგიის” კათედრა. 2006 წლიდან კათედრას ეწოდება ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტი.

1935-1947 წლებში კათედრის გამგე იყო ირაკლი ბურჯანაძე, 1947-1973 წლებში – პროფესორი პეტრე გელბახიანი, 1973-1990 წლებში – დოცენტი ლევან ჩხატარაშვილი, 1990 – 2000 წლებში – ასოცირებული პროფესორი იპოლიტე მონიავა, 2000 წლიდან კი პროფესორი ალიოზა ბაკურიძე.

კათედრაზე სხვადასხვა წლებში მუშაობდნენ პროფესორები: პავლე ჭუმბურიძე, არისტარხ მშვიდლობაძე; დოცენტები: სამსონ ასათიანი, რევაზ სხილაძე, ნარგიზა სართანია, თინა დოლაბერიძე, მარიამ ტრაპაიძე, გრიგოლ ჩიხლაძე, ჯემალ ენუქიძე, ლეილა კერესელიძე, ნაზი ლუდუშაური; პედაგოგები: ვ. ვილარეტი, თამარ ბეჟანიშვილი, რევაზ მურღულია, გურამ წოწორია.

დეპარტამენტში ისწავლება შემდეგი დისციპლინები: გალენური პრეპარატების ტექნოლოგია, მზა წამალთფორმების ტექნოლოგია, კოსმეტიკური და პარფიუმერული საშუალებების ტექნოლოგია, ფარმაცევტული ტექნოლოგიები.

ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებაა ბუნებრივი ნედლეულის გადამუშავების რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების შემუშავება და მათ ბაზაზე თანამედროვე წამალთფორმების მომზადება.